



კოვიდ-19: მნიშვნელოვანი ინფორმაცია ახალი კორონავირუსის ჰიგიენის და ქცევის წესების შესახებ.

ახალი კორონავირუსი

განახლებულია: 29.10.2020

ასე დავიცავთ თავს.




შევაჩეროთ კორონავირუსი



შეამცირეთ კონტაქტების რაოდენობა.




დაიცავით დისტანცია.



ატარეთ ნილაბი თუ შეუძლებელია დისტანციის დაცვა.




ატარეთ ნილაბი ღია და დახურულ საჯარო სივრცეებში, ასევე საზოგადოებრივ ტრანსპორტში.



იმუშავეთ სახლიდან, თუ ეს შესაძლებელია.




საფუძვლიანად დაიბანეთ ხელები.



დაახველეთ და დააცემინეთ ცხირსახოცში ან მოხრილ მკლავში.




მოერიდეთ ხელის ჩამორთმევას.



ხშირად გაანიავეთ ოთახი.




საჯარო ღონისძიებებზე: არაუმეტეს 50 ადამიანი, კერძოდ: არაუმეტეს 10, საჯარო სივრცეში: არაუმეტეს 15.



სიმპტომების გამოვლენისას დაუყოვნებლივ ჩაიტარეთ ტესტი და დარჩით სახლში.



გაცივით ინფორმაცია ახლო კონტაქტების დადგენის მიზნით.



ინფექციის გავრცელების ჯაჭვის შესაჩერებლად: გადმოწერეთ და გააქტიურეთ SwissCovid აპლიკაცია.



დადებითი ტესტის შემთხვევაში: იზოლაციის წესი. დადებითი ტესტის მქონე პირთან კონტაქტის დროს: კარანტინის წესი.



ექიმთან ან სასწრაფო სამედიცინო მიღებაზე გამოცხადდით მხოლოდ წინასწარი სატელეფონო შეთანხმებით.

www.foph-coronavirus.ch

ხშირად დასმული კითხვები და პასუხები ახალი კორონავირუსის შესახებ

2019 წლის ბოლოს ახალი და ფართოდ გავრცელებადი დაავადება გამოვლინდა. მას „კოვიდ-19“ (Covid-19) უწოდეს. დაავადება გამოწვეულია ახალი კორონავირუსით, რომელიც მსოფლიოში მალე გავრცელდა. ჯანდაცვის ფედერალური უწყების (BAG) წინამდებარე საინფორმაციო ბუკლეტით მიიღებთ პასუხებს კორონავირუსთან დაკავშირებულ ხშირად დასმულ კითხვებზე.

ახალი კორონავირუსით დაინფიცირებას შესაძლოა მძიმე შედეგები მოყვეს. ზოგი ადამიანი ამ დაავადებით იღუპება. ამიტომაც მნიშვნელოვანია ყველამ დაიცვას თავი ახალი კორონავირუსისგან.

კვლავ ძალაში რჩება პირადი პასუხისმგებლობის აუცილებლობა: ინფექციის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია ჰიგიენის და ქცევის იმ წესების დაცვა, რომელიც წინამდებარე დოკუმენტის პირველ გვერდზე და ფედერალური ჯანდაცვის პლაკატებზე არის წარმოდგენილი. ამასთანავე, აქტუალურია ხელების ხშირი დაბანა საპნით და დისტანციის დაცვა.

სავალდებულოდ დასაცავი წესები და აკრძალვები 2020 წლის 29 ოქტომბრიდან:

- ნიღბის ტარება სავალდებულოა ქალაქების და სოფლების ცენტრალურ ადგილებში, დაწესებულებების და საწარმოების ღია და დახურულ საჯარო სივრცეებში.
- ნიღბის ტარება სავალდებულოა საზოგადოებრივ ტრანსპორტში შვეიცარიის მასშტაბით: საზოგადოებრივ ტრანსპორტში, თვითნფრინავებში, რკინიგზის სადგურებში, გაჩერებებზე და აეროპორტებში
- ნიღბის ტარება სავალდებულოა საშუალო და პროფესიულ სკოლებში
- ნიღბის ტარება სავალდებულოა სამსახურებში, გამონაკლისია პირადი სამუშაო ადგილები, რამდენადაც აქ შესაძლებელია რეკომენდებული დისტანციის დაცვა
- დისტანციური სწავლების შემოღება უნივერსიტეტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში
- საზოგადოებრივი ღონისძიებებზე 50-ზე მეტი და კერძო ღონისძიებებზე 10-ზე მეტი ადამიანის დასწრების აკრძალვა
- 15-ზე მეტი ადამიანის სპონტანური თავყრილობის აკრძალვა
- რესტორნებში მაგიდასთან მაქსიმუმ ოთხი ადამიანის დაშვება (გამონაკლისია მშობლები შვილებთან ერთად)
- რესტორნები და ბარები დაკეტილია 23:00 სთ-დან 06:00 სთ-მდე
- რესტორნებსა და ბარებში ჯდომის ვალდებულება: სასმელის და საკვების მიღება დაშვებულია მხოლოდ დამჯდარ მდგომარეობაში
- დისკოტეკების, ღამის და საცეკვაო კლუბების მუშაობა აკრძალულია,
- ფიტნესი: აკრძალულია ერთობლივად 15-ზე მეტი ადამიანის აქტივობა, აკრძალულია კონტაქტური სპორტი, დახურულ სივრცეში სავალდებულოა ნიღბის ტარება ან დისტანციის დაცვა, ღია სივრცეში ნიღბის ტარება ან დისტანციის დაცვა; სავალდებულო დასწრების სკოლებში ბავშვებს არ ეზღუდებათ სპორტული აქტივობები.
- კულტურის (მუსიკა, თეატრი, ცეკვა და ა.შ.) სამოყვარულო დარგი: დაშვებულია 15-მდე ადამიანის ერთობლივი აქტივობა ნიღბით და დისტანციის წესების დაცვის გათვალისწინებით. პროფესიული დარგი: დაშვებულია რეპეტიციები და სცენაზე გამოსვლები.
- აკრძალულია მომდერალთა გუნდების სცენაზე გამოსვლა, რეპეტიციები დაშვებულია მხოლოდ პროფესიონალ მომდერალთა გუნდისთვის
- შესაძლებლობის შემთხვევაში რეკომენდებულია სახლიდან მუშაობა
- სავალდებულოა კარანტინის გავლა ქვეყანაში შემოსვლის შემთხვევაში

შენიშვნა: ზოგიერთ კანტონში ვრცელდება მკაცრი წესები.

დაინფიცირება და საფრთხეები

რატომ არის ჰიგიენის და ქცევის წესების დაცვა ამგვარად მნიშვნელოვანი?

ახალი კორონავირუსი ახალი ვირუსია, რომლის წინააღმდეგაც ადამიანებს იმუნიტეტი ჯერ არ გამოუმუშავებიათ. ის შეიძლება მრავალი ადამიანის დაინფიცირების და ავადმყოფობის მიზეზი გახდეს. ამიტომაც ახალი კორონავირუსის გავრცელება შეძლებისდაგვარად უნდა შევანელოთ.

მძიმედ დაავადებისგან, განსაკუთრებით, მაღალი რისკჯგუფის წარმომადგენლები უნდა დავიცვათ.

მათ შორის არიან:

- ხანდაზმული ადამიანები (ახალი კორონავირუსის ინფექციით გამოწვეული ავადმყოფობის სიმძიმის რისკი ასაკთან ერთად მატულობს. თანმდევი დაავადებები კი ამ რისკს დამატებით ზრდის)
- ფეხმძიმე ქალები
- ზრდასრულები შემდეგი დაავადებებით:
 - სისხლის მაღალი წნევა
 - გულ-სისხლძარღვთა დაავადებები
 - დიაბეტი
 - სასუნთქი სისტემის ქრონიკული დაავადებები
 - კიბო
 - იმუნური სისტემის დამაქვეითებელი დაავადებები და თერაპიის ქვეშ მყოფი პირები
 - ჭარბწონიანი პირები (სიმსუქნე, სხეულის მასის ინდექსით 40-დან ზევით)

თუ არ ხართ დარწმუნებული მიეკუთვნებით თუ არა მაღალ რისკჯგუფს, გთხოვთ მიმართოთ ექიმს.

ჰიგიენის და ქცევის წესების დაცვით ამ ადამიანებსაც უკეთესად დავიცავთ. ამგვარად ხელს შევუწყობთ ჯანდაცვის დაწესებულებებში მძიმე ავადმყოფების მომავალშიც საუკეთესოდ უზრუნველყოფას, რადგანაც ინტენსიურ განყოფილებებში სამედიცინო ოთახების და სასუნთქი აპარატების რაოდენობა შეზღუდულია.

ხართ 65 წელს გადაცილებული, ხართ ფეხმძიმედ ან გაქვთ რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი დაავადება? ქვემოთ მოცემულია, თუ როგორ შეგიძლიათ დაიცვათ თავი:

ინფექციისგან თავდაცვის საუკეთესო საშუალებად კვლავ ჰიგიენის და ქცევის წესების დაცვა მიიჩნევა. მოქმედია შემდეგი რეკომენდაციები:

- საფუძვლიანად და რეგულარულად დაიბანეთ ხელები საპნით.
- დაიცავით სხვა პირებისაგან დისტანცია (მინიმუმ 1,5 მეტრი).
- დაიცავით ნიღბის ტარების სავალდებულო წესები საზოგადოებრივ ტრანსპორტში.
- ასევე განუზრელად დაიცავით ჰიგიენის და ქცევის წესები მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან შეხვედრებისას. მაგალითად, არ ისარგებლოთ ერთი და იგივე სუფრის მოწყობილობით კერძის გადმოღებისას, არ დალიოთ ერთი და იგივე ჭიქიდან და ა.შ.
- მოერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს პიკის საათებში (მაგ. სამუშაო ტრაფიკს საზოგადოებრივ ტრანსპორტში ან სადგურზე, საყიდლებზე სიარულს შაბათობით). მიუხედავად ამისა, თუ მაინც მოგიწევთ ხალხმრავალ ადგილებში ყოფნა, სადაც რეკომენდებული დისტანციის დაცვა შეუძლებელია, გირჩევთ ნიღბის ტარებას.

გაქვთ დაავადების ერთი ან რამდენიმე სიმპტომი, როგორიცაა ხველა (უმეტესწილად მშრალი), ყელის ტკივილი, ქოშინი, მუცლის ტკივილი, სიცხე, ან უეცრად დაკარგეთ ყნოსვის ან/და გემოვნების შეგრძნება? **დაუყოვნებლივ დარეკეთ ექიმთან ან სავადმყოფოში, კვირის ნებისმიერ დღეს**, მათ შორის შაბათ-კვირას. აღწერეთ თქვენი სიმპტომები და აცნობეთ, რომ მაღალ რისკჯგუფს მიეკუთვნებით.

ფეხმძიმედ ხართ და ამის გამო კოვიდ-19-ით (Covid-19) შესაძლო დაავადების განსაკუთრებულად დიდი რისკის ქვეშ იმყოფებით. რას უნდა მიაქციოთ ყურადღება?

თუ ფეხმძიმედ ხართ, მაქსიმალურად უნდა შეეცადოთ ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციისგან დაიცვათ თავი. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული რისკის ქვეშ მყოფი პირებისთვის გაწერილი რეკომენდაციების დაცვას გირჩევთ (იხ. წინა პასუხი).

სამუშაო ადგილზე, დამსაქმებელი ვალდებულია დედობის დაცვის შესახებ დადგენილების თანახმად, უზრუნველყოს ახალი კორონავირუსით ინფიცირებისგან ფეხმძიმე ქალის მაქსიმალური დაცვა. თუ ვერ ხერხდება შესაბამისი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა, დამსაქმებელმა ალტერნატიული სამუშაო უნდა შემოგთავაზოთ. თუ შეუძლებელია სამუშაოს გაგრძელება, თქვენმა გინეკოლოგმა უნდა გასცეს შესაბამისი დოკუმენტი სამუშაოსგან გათავისუფლების შესახებ.

თუ ფეხმძიმედ ხართ, ახალი მონაცემების თანახმად კორონავირუსით ინფიცირებისას დასაშვებია ავადმყოფობის მძიმე ფორმით მიმდინარეობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ჭარბწონიანი ან ასაკოვანი ხართ ან სხვა თანმდევი დაავადება გაქვთ. ფეხმძიმობასთან და კოვიდ-19-თან (Covid-19) დაკავშირებულ ბევრ აქტუალურ საკითხზე პასუხი ჯერ კიდევ უცნობია. დედა და ბავშვი მეტი

სიფრთხილისთვის განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებენ.

ავადმყოფობის სიმპტომების გამოვლენისას, დაუყოვნებლივ მიმართეთ გინეკოლოგს შემდგომი რეკომენდაციების მიღების მიზნით.

როგორ ვრცელდება ახალი კორონავირუსი?

ვირუსი როგორც წესი ახლო და ხანგრძლივი კონტაქტით გადადის: თუ ინფიცირებულ პირთან 1,5 მეტრზე ნაკლებ დისტანციაზე იმყოფებით და ნიღბის გარეშე ხართ (დაცვა: მაგ. ორივე პირი ატარებს ნიღბს). რაც უფრო ხანგრძლივი და ახლოა ეს კონტაქტი, მით მეტია ინფიცირების შესაძლებლობა.

ახალი კორონავირუსი შეიძლება გავრცელდეს შემდეგი გზით.

- **ჰაერწვეთოვანი გზით:** ინფიცირებულის სუნთქვით, საუბრით, დაცემინებით თუ დახველებით შესაძლოა ვირუსის შემცველი წვეთები ახლო დისტანციაზე (<1,5 მ) მყოფი ადამიანის ცხვირის, პირის ან თვალის ლორწოვან გარსზე მოხვდეს.
- ინფექციის წვეთების უმცირესი ნაწილაკებით გავრცელება დიდ დისტანციაზე არც თუ ისე ხშირია. ინფექციის ასეთი სახით გავრცელება სხვადასხვა აქტივობების დროს უფრო არის დასაშვები, რასაც თან გახშირებული სუნთქვა ახლავს. ყოველივე კი ახასიათებს მაგალითად ფიზიკურ მუშაობას, სპორტს, ხმამაღალ საუბარს და სიმღერას, იგივე ვრცელდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცუდად ან საერთოდ გაუჩიარებელ ოთახებზეც, განსაკუთრებით თუ ოთახი პატარაა.
- **ზედაპირიდან და ხელებით:** როცა ინფიცირებული პირები ახველებენ ან აცემინებენ ინფექციის გადამდები წვეთები ხვდება მათ ხელებზე და ზედაპირზე. შესაძლებელია სხვა ადამიანის დაინფიცირება თუ ის ამ წვეთებს შეეხება ხელით და ხოლო შემდეგ კი პირს, ცხვირს ან თვალს.

როდის არის ვირუსი გადამდები?

გაითვალისწინეთ: ახალი კორონავირუსით დაავადებული ხანგრძლივი დროის განმავლობაში წარმოადგეს ვირუსის გადადების საშიშროებას. კონკრეტულად:

- სიმპტომების დაწყებამდე უკვე ორი დღით ადრე – ანუ, ინფიცირების შენიშვნამდე.
- დაავადება განსაკუთრებით გადამდებია სიმპტომების არსებობის შემთხვევაში.
- სრულიად გამოჯანმრთელების შეგრძნებიდან არანაკლებ, 48 საათის განმავლობაში. ამიტომაც მომავალშიც დაიცავით დისტანცია და რეგულარულად დაიბანეთ ხელები საპნით.

სიმპტომები, დიაგნოზი და მკურნალობა

რა სახის სიმპტომები ახლავს ახალი კორონავირუსით დაავადებას?

გავრცელებულია შემდეგი სიმპტომები: • ხველება (უმეტესწილად მშრალი) • ყელის ტკივილი • ქოშინი • მუცლის ტკივილი • სიცხე • ყნოსვის და/ან გემოვნების უეცარი დაკარგვა	ასევე შესაძლებელია შემდეგი სიმპტომების არსებობა: • თავის ტკივილი • საერთო სისუსტე, შეუძლოდ ყოფნა • კუჭ-ნაწლავის დაავადებათა სიმპტომები (გულისრევა, პირღებინება, ფაღარათი, მუცლის ტკივილი) • სურდო • კუნთების ტკივილი • გამონაყარი
---	---

სიმპტომები სხვადასხვა სიმძიმით ვლინდება, და შესაძლოა, რომ მსუბუქი ფორმითაც გამოვლინდეს. აგრეთვე შესაძლებელია გართულება, მაგალითად, ფილტვების ანთება.

თუ გავრცელებული სიმპტომებიდან ერთი ან რამდენიმე გაწუხებთ, დიდი ვარაუდით ახალი კორონავირუსით ხართ დაავადებული.

ამ შემთხვევაში:

- დარჩით სახლში და არიდეთ თავი სხვა პირებთან ნებისმიერ კონტაქტს.
- შეამოწმეთ კორონავირუსის სიმპტომები (check.bag-coronavirus.ch) ან დაურეკეთ თქვენს ექიმს. უპასუხეთ კითხვებს ინტერნეტით ან ტელეფონით. ბოლოს თქვენ მიიღებთ ქცევის რეკომენდაციას და საჭიროების შემთხვევაში ტესტის ჩატარების ინსტრუქციას.
- გაეცანით და მკაცრად დაიცავით «იზოლაციის» ინსტრუქციები » (www.bag.admin.ch/neues-coronavirus-downloads)

თუ 65 წელს გადაცილებული ხართ, ხართ ფეხმძიმედ ან სხვა დაავადება გაწუხებთ, გაითვალისწინეთ: თუ გავრცელებული ერთი ან რამდენიმე სიმპტომი გაწუხებთ დაუყოვნებლივ დაურეკეთ ექიმს, კვირის ნებისმიერ დღეს, მათ შორის შაბათ-კვირას.

არ იცით როგორ მოიქცეთ?

კორონავირუსის სიმპტომების შესამოწმებლად ვებგვერდზე check.bag-coronavirus.ch რამდენიმე კითხვაზე პასუხის გაცემით მიიღებთ ჯანდაცვის ფედერალური უწყების მიერ ქცევის რეკომენდაციას (გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ და ინგლისურ ენებზე).

ვოს კანტონის ვებგვერდზე coronavirus.unisante.ch/evaluation შესაძლებელია კორონავირუსის სიმპტომების შემოწმება 8 ენაზე.

კორონავირუსის სიმპტომების ვებგვერდზე შემოწმება ვერ ჩაანაცვლებს სამედიცინო კონსულტაციას, დიაგნოზს ან მკურნალობას. მსგავსი სიმპტომები შეიძლება სხვა დაავადებების დროს გამოვლინდეს, რაც განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს.

ამჟამად გამოხატული სიმპტომების შეთხვევაში, თუ ის უარესდება ან გაშფოთებთ, ყოველთვის მიმართეთ ექიმს.

ჩემს შვილს, რომელიც 12 წლამდე ასაკის არის, აღენიშნება კორონავირუსის სიმპტომები. როგორ უნდა მოვიქცეთ? შეუძლია თუ არა მას სკოლაში წასვლა ან გახანგრძლივებულ ჯგუფში დარჩენა.

მიმდინარე მონაცემების თანახმად შესაძლებელია ბავშვების ახალი კორონავირუსით დაინფიცირება. 12 წლამდე ასაკის ბავშვებს მოზარდებისა და ზრდასრულებისგან განსხვავებით არც თუ ისე ხშირად აღენიშნებათ სიმპტომები და იშვიათად არიან ვირუსის გადამტანები.

შემთხვევა 1: როცა ბავშვს და მასთან ახლო კონტაქტში მყოფ პირს სიმპტომები აღენიშნებათ თქვენს შვილს აღენიშნება შესაძლო ახალი კორონავირუსის სიმპტომები და მას ჰქონდა ახლო კონტაქტი პირთან გადამდები სიმპტომების ნიშნებით (12 წლის ასაკს გადაცილებული პირი). ამ შემთხვევაში თქვენი შემდგომი მოქმედება დამოკიდებულია ახლო კონტაქტში მყოფი პირის ტესტის შედეგზე:

- **თუ ახლო კონტაქტში მყოფ პირს ტესტი დაუდასტურდა:** თქვენი შვილი სახლში უნდა დარჩეს და ჩაუტარდეს ტესტი ბავშვთა ექიმთან კონსულტაციის შემდეგ. შემდგომ რეკომენდაციებს, თუ როგორ მოიქცეთ მიიღებთ ბავშვთა ექიმისგან.
- **თუ ახლო კონტაქტში მყოფი პირის ტესტის შედეგი უარყოფითია:** თქვენი შვილი სკოლის ან გახანგრძლივებული ჯგუფის მეცადინეობებზე დასწრებას მხოლოდ მას შემდეგ შეძლებს, თუ სიცხე ბოლო 24 საათის განმავლობაში არ დაუფიქსირდება ან ხველა საგრძნობლად შეუმცირდება.

შემთხვევა 2: ბავშვი სიმპტომებით, ინფიცირებულთან კონტაქტის გარეშე

თქვენს შვილს აღენიშნება შესაძლო ახალი კორონავირუსის სიმპტომები, მაგრამ მას არ ჰქონია ახლო კონტაქტი პირთან გადამდები სიმპტომების ნიშნებით (12 წლის ასაკს გადაცილებული პირი). ამ შემთხვევაში თქვენი შემდგომი მოქმედება დამოკიდებულია თქვენი შვილის სიმპტომებზე და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

- **თქვენს შვილს აღენიშნება გაცივების მსუბუქი ნიშნები** (სურდო ან/და ყელის ტკივილი ან/და მსუბუქი ხველება) და **ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია:** თქვენს შვილს შეუძლია სკოლაში ან გახანგრძლივებულ ჯგუფში მეცადინეობებზე დასწრება.
- **თქვენს შვილს აქვს სიცხე და ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია:** თქვენი შვილი სახლში უნდა დარჩეს. ის სკოლაში ან გახანგრძლივებულ ჯგუფში მეცადინეობებზე დასწრებას მხოლოდ მას შემდეგ შეძლებს, თუ ბოლო 24 საათის

განმავლობაში სიცხე არ დაუფიქსირდება. დაუკავშირდით ბავშვთა ექიმს, თუ თქვენს შვილს სიცხე სამი დღე ან სამ დღეზე მეტ ხანს გაუგრძელდება.

თუ თქვენს შვილს სხვა სიმპტომებიც (კუჭ-ნაწლავის ჩივილები, თავის ტკივილი, სახსრების ტკივილი, ყნოსვის ან გემოს შეგრძნების დაკარგვა) გამოუვლინდება, ბავშვთა ექიმთან გაიარეთ კონსულტაცია.

- **თქვენს შვილს ძლიერი ხველა აქვს და ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია:** თქვენი შვილი სახლში უნდა დარჩეს. ის სკოლაში ან გახანგრძლივებულ ჯგუფში მეცადინეობებზე დასწრებას მხოლოდ მას შემდეგ შეძლებს, თუ ხველა სამი დღის შუალედში საგრძნობლად შეუმცირდება. დაუკავშირდით ბავშვთა ექიმს, თუ თქვენს შვილს ძლიერი ხველება სამ დღეზე მეტ ხანს გაუგრძელდება.
თუ თქვენს შვილს სხვა სიმპტომებიც (კუჭ-ნაწლავის ჩივილები, თავის ტკივილი, სახსრების ტკივილი, ყნოსვის ან გემოს შეგრძნების დაკარგვა) გამოუვლინდება, ბავშვთა ექიმთან გაიარეთ კონსულტაცია.
- **თქვენს შვილს სიცხე ან ძლიერი ხველა აქვს ან/და ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია:** დაუყოვნებლივ დაუკავშირდით ბავშვთა ექიმს შემდგომი რეკომენდაციების მისაღებად.

როგორ მკურნალობენ ახალი კორონავირუსით დაავადებულებს?

მკურნალობა სიმპტომების შემსუბუქებით შემოიფარგლება. დაავადებულები სხვების დაცვის მიზნით იზოლაციაში მოთავსდებიან. მძიმედ დაავადების შემთხვევაში უმეტესწილად საჭიროა ინტენსიურ განყოფილებაში მკურნალობა. გარკვეულ შემთხვევებში ხელოვნური სუნთქვა გარდაუვალი იქნება.

თუ გაქვთ ჩივილები, თავს შეუძლოდ გრძნობთ ან გაქვთ სიმპტომები, რომელიც ახალ კორონავირუსთან დაკავშირებული არ არის?

ჯანმთელობასთან დაკავშირებულ ჩივილებს, დაავადებებს და სიმპტომებს, რომლებიც ახალ კორონავირუსთან დაკავშირებული არ არიან, ასევე ყურადღებით უნდა მოეკიდოთ და იმკურნალოთ. ისარგებლეთ დახმარებით და ნუ დააყოვნებთ: დაურეკეთ ექიმს.

როდის უნდა ჩავიტარო ახალ კორონავირუსზე ტესტი?

თავს შეუძლოდ გრძნობთ ან ახალი კორონავირუსის საეჭვო სიმპტომები გაქვთ? დარჩით სახლში, შეამოწმეთ კორონავირუსის სიმპტომები ონლაინ (check.bag-coronavirus.ch) ან დაურეკეთ თქვენს ექიმს. უპასუხეთ ყველა შეკითხვას კორონავირუსის ონლაინ ან ტელეფონით გამოკითხვისას. გამოკითხვის დასრულების შემდეგ მიიღებთ რჩევას თუ როგორ იმოქმედოთ და მოცემული შემთხვევისთვის რეკომენდაციას ტესტის ჩასატარებლად. დარჩით სახლში ტესტის შედეგების მიღებამდე.

სად შემიძლია ტესტის ჩატარება?

კორონავირუსზე ტესტს ატარებენ ექიმები საავადმყოფოში ან ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ცენტრებში. თქვენ შეგიძლიათ (check.bag-coronavirus.ch) თუ ონლაინ გამოკითხვის შემდეგ რეკომენდირებული იქნება კორონავირუსზე ტესტის ჩატარება მიიღებთ მითითებებს როგორ იმოქმედოთ.

ვებგვერდიდან www.ch.ch/fr/coronavirus ბმულებით შეგიძლიათ გადახვიდეთ სხვადასხვა კანტონის ინტერნეტ გვერდებზე, სადაც იხილავთ ახალ კორონავირუსთან დაკავშირებულ ინფორმაციას და საკონტაქტო მონაცემებს.

რა შემთხვევებში აფინანსებს ფედერაცია პჯრ (PCR) ტესტს?

ფედერაცია 2020 წლის 25 ივნისიდან აფინანსებს ტესტს (მოლეკულურ ბიოლოგიური პჯრ (PCR)-ტესტი), თუ დაკმაყოფილებულია ჯანდაცვის ფედერაციული უწყების (BAG) მიერ დადგენილი კრიტერიუმები. ეს ის შემთხვევებია, როცა მაგალითად, კოვიდ-19-სთვის დამახასიათებელი სიმპტომები გაქვთ და თქვენი ექიმი ახალი კორონავირუსის ინფექციაზე ტესტის ჩატარებაზე იძლევა რეკომენდაციას. ასევე, ერთ-ერთ კრიტერიუმად ითვლება ინფიცირებულ პირთან კონტაქტის შესახებ სვისკოვიდ აპლიკაციით (SwissCovid App) მიღებული შეტყობინება.

თუ არ არის დაკმაყოფილებული ჯანდაცვის ფედერაციული უწყების (BAG) მიერ დადგენილი

ტესტის გავლისთვის საჭირო კრიტერიუმები, ფედერაცია არ აფინანსებს ტესტის ხარჯებს. ეს ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა მაგალითად, თქვენ ტესტის ჩატარებას მოგზაურობისთვის საჭიროებთ ან მას დამსაქმებელი გთხოვთ.

შეკრებები, ღონისძიებები და გართობა

რომელი ღონისძიებები აიკრძალა?

საზოგადოებრივ ადგილებში აკრძალულია 15-ზე მეტი ადამიანის სპონტანური თავშეყრა. საზოგადოებრივ ადგილებად მოიაზრება მაგ. მოედნები, სასაერნო ბილიკები, პარკები და სკვერები.

რა წესები ვრცელდება საზოგადოებრივი და კერძო ღონისძიებებისთვის?

კერძო ღონისძიებებზე მეგობრების და ოჯახის წევრების გარემოცვაში (რომელიც არ ტარდება საჯარო სივრცეში, მაგ. სახლში) დაშვებულია არაუმეტეს 10 ადამიანი. უმჯობესია მოერიდოთ კერძო ღონისძიებებს თუ ეს შესაძლებელია.

აკრძალულია ღონისძიებები **50-ზე მეტი ადამიანის მონაწილეობით**. ეს ეხება სპორტულ, კულტურულ და სხვა ღონისძიებებს, გამონაკლისია საპარლამენტო და თვითმმართველობის შეკრებები. ამას გარდა, დაშვებულია პოლიტიკური დემონსტრაციები ასევე ხელმოწერების შეგროვება რეფერენდუმისთვის და ინიციატივებისთვის, ბუნებრივია დადგენილი უსაფრთხოების წესების დაცვით.

რა წესები ვრცელდება სპორტული და კულტურული ღონისძიებებისთვის?

სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებზე დახურულ სივრცეში დაშვებულია არაუმეტეს 15 ადამიანის დასწრება, სადაც შესაძლებელი იქნება რეკომენდებული დისტანციის დაცვა, ასევე დაცული იქნება ნიღბის ტარების წესი. შეგიძლიათ არ ატაროთ ნიღბი, თუ სივრცე მასშტაბურია, მაგალითად საჩოგბურთო ან დიდ დარბაზებში. ღია სივრცეში მხოლოდ დისტანცია უნდა იქნეს დაცული. კონტაქტური სპორტი აკრძალულია. გამონაკლისია 16 წლამდე ბავშვები.

სპორტისა და კულტურის სფეროებში დაშვებულია ვარჯიშები და შეჯიბრებები, ასევე რეპეტიციები და გამოსვლები. რადგან სიმღერის დროს წვეთები იფრქვევა, აიკრძალა სამოყვარულო მომღერალთა გუნდები, პროფესიონალ მომღერალთა გუნდებისთვის დაშვებულია რეპეტიცია.

რა წესები ვრცელდება ბარებსა და რესტორნებზე?

- მაგიდასთან დაშვებულია არაუმეტეს 4 სტუმარი. გამონაკლისია მშობლები შვილებთან ერთად.
- კომენდანტის საათი 23:00 სთ-დან 06:00 სთ-მდე
- რესტორნებსა და ბარებში ჯდომის ვალდებულება: სასმელის და საკვების მიღება დაშვებულია მხოლოდ დამჯდარ მდგომარეობაში

რა წესები ვრცელდება დისკოტეკებსა და საცეკვაო კლუბებში?

დისკოტეკების, ღამის და საცეკვაო კლუბების მუშაობა ასევე საცეკვაო ღონისძიებების გამართვა აკრძალულია,

სახლიდან მუშაობა

შეეცადეთ იმუშაოთ სახლიდან. ამგვარად შეამცირებთ კონტაქტებს და აქედან გამომდინარე, ვირუსის გავრცელებას.

დასაქმებულებზე, რომლებსაც არ შეუძლიათ სახლიდან მუშაობა, ვრცელდება შრომის კოდექსით გაწერილი წესები: დამსაქმებელი ვალდებულია შესაბამისი ღონისძიებების გატარებით დაიცვას დასაქმებულის ჯანმრთელობა.

დამატებითი ინფორმაცია

სად ვიპოვი დამატებით ინფორმაციას ჩემს მშობლიურ ენაზე?

კოვიდ-19-თან (Covid-19) დაკავშირებულ სანდო ინფორმაციას გაეცანით ვებპლატფორმაზე [migesplus.ch](https://www.migesplus.ch/themen/neues-coronavirus-covid-19), ხოლო ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა თემები იხილეთ ვებგვერდზე: <https://www.migesplus.ch/themen/neues-coronavirus-covid-19>

დახმარების მიღება.

როგორ მოვიქცე, თუ საავადმყოფოში ჩემს ენაზე ვერ მესაუბრებიან და ჩემი არ არ ესმით?

თავიდანვე მოითხოვეთ თარჯიმანი. არსებობს თარჯიმნის სატელეფონო მომსახურება. პროფესიონალი თარჯიმნების მომსახურებისას ოჯახის წევრთა თარჯიმნად მოყვანა აღარ დაგჭირდებათ და ამით მათი დაინფიცირების საფრთხეს შეამცირებთ. სამედიცინო მომსახურებისას ურთიერთგაგების უფლება გაქვთ.

სახლში უნდა დარჩეთ და სურსათი ან წამლები გჭირდებათ?
ან დახმარების გაწევა გსურთ?

დაუკვირდით თქვენს გარშემო მყოფებს:

- შეგიძლიათ, ვინმეს დახმარება სთხოვოთ?
- ან შეგიძლიათ, ვინმეს დახმარება შესთავაზოთ?

დამატებითი შესაძლებლობები:

- მიმართეთ თქვენი დასახლების თვითმმართველობას
- გამოიყენეთ «Five up»-აპლიკაცია
- გაეცანით შემდეგ ვებგვერდს www.hilf-jetzt.ch / www.aide-maintenant.ch

კვლავ ძალაშია და სავალდებულოდ გასათვალისწინებელია ჰიგიენის და ქცევის წესები.

ნერვიულობთ ან მოსაუბრე გჭირდებათ?

აქ იხილავთ ინფორმაციას:

- ვებ-გვერდზე www.dureschnufe.ch / www.როგორ_ამოვისუნთქო.გვ / www.santepsy.ch / www.salutepsi.ch www.ფსიქიკური_ჯანმრთელობა.გვ
- სატელეფონო კონსულტაციის ნომერი 143 (Die Dargebotene Hand/დახმარების ხელი)

სახლში საფრთხე გემუქრებათ? საჭიროებთ დახმარებას ან მფარველობას?

- ვებ-გვერდზე www.opferhilfe-schweiz.ch / www.aide-aux-victimes.ch / www.aiuto-alle-vittime.ch/ (www.ძალადობის_მსხვერპლთა_და_დაზარალებულთა_დახმარება.გვ) ანონიმური კონსულტაციების და ტელეფონის ნომრებს და ვებ-ფოსტის მისამართებს მოიძიებთ შვეიცარიის მთელ ტერიტორიაზე.
- **სასწრაფო დახმარების საჭიროების შემთხვევაში დაუკავშირდით პოლიციას:** ტელეფონის ნომერი 117

დამატებითი მნიშვნელოვანი ტელეფონის ნომრები:

- **სამედიცინო დახმარების გამოძახება** (სასწრაფო დახმარების მანქანა) **144:** მოქმედებს შვეიცარიის მთელ ტერიტორიაზე და 24 საათის განმავლობაში ყველა სამედიცინო გადაუდებელ დახმარებას გაგიწევთ.
- **ინფოხაზი** ახალი კორონავირუსის შესახებ: ტელეფონის ნომერზე **058 463 00 00** ახალი კორონავირუსის შესახებ შეკითხვებზე გიპასუხებენ.
- **თუ ოჯახის ექიმი არ გყავთ: სამედიცინო ცხელი ხაზი (Medgate)** ნომერზე **0844 844 911** თქვენს განკარგულებაშია 24 საათის განმავლობაში.



ნიღბები

შვეიცარიაში ნიღბის ტარება სავალდებულოა ბევრ ადგილას. საყოველთაო წესი: ატარეთ ნიღაბი თუ არ ხართ სახლში და შეუძლებელია დისტანციის დაცვა. ნიღაბი უნდა ფარავდეს ცხვირს და პირს.

საზოგადოებრივ ადგილებში ნიღბის ტარებით პირველ რიგში სხვა პირებისგან ხარტ დაცული. ინფიცირებული პირი ჯერ კიდევ სიმპტომების გამოვლენამდე ორი დღით ადრე არის ინფიცირების წყარო, ისე, რომ შესაძლოა ეს არც იცოდეს. თუ პატარა სივრცეში ყველა დაიცავს ნიღბის ტარების წესებს ადამიანები ერთმანეთისგან იქნებიან დაცულები. ნიღბის ტარებით უსაფრთხოება არ არის 100

პროცენტით გარანტირებული, თუმცა ეს აფერხებს ახალი კორონავირუსის გავრცელებას.

სად ვრცელდება ნიღბის ტარების ვალდებულება?

- **ნიღბის ტარების ვალდებულება საზოგადოებრივ ტრანსპორტში და თვითმფრინავში:** ჩამოთვლილ სატრანსპორტო საშუალებებსა და საზოგადოებრივი გადაადგილების სხვადასხვა ადგილებში გაქვთ ნიღბის ტარების ვალდებულება:
 - მატარებელი, ტრამვაი, ავტობუსი
 - სამთო რკინიგზა და საბაგირო გზა
 - გემი
 - თვითმფრინავი (ყველა რეგულარულ და ჩარტერულ ავიახაზებზე, შვეიცარიაში დაშვებისას და შვეიცარიიდან აფრენისას)
 - ბაქანზე, ტრამვაისა და ავტობუსების გაჩერებებზე, მათ შორის ღია სივრცეში
 - რკინიგზის სადგურებში, აეროპორტებში და საზოგადოებრივი ტრანსპორტის სხვადასხვა შესასვლელებში
- **ნიღბის ტარების ვალდებულება შვეიცარიის მასშტაბით საჯაროდ ხელმისაწვდომ ადგილებში:** ყველა საჯაროდ ხელმისაწვდომ დაწესებულებებსა და საწარმოებში სავალდებულოა ნიღბის ტარება. ასეთად მოიაზრება:
 - მაღაზიები, სავაჭრო ცენტრები, ბანკები და საფოსტო განყოფილებები
 - მუზეუმები, ბიბლიოთეკები, კინო, თეატრი და საკონცერტო დარბაზები
 - ზოოლოგიური და ბოტანიკური ბაღები და ზოოპარკები
 - რესტორნები, ბარები, სათამაშო დარბაზები და სასტუმროები (გამონაკლისია სასტუმრო ოთახები გესტჰაუსებში)
 - საცურო აუზების, სპორტული დარბაზების და ფიტნეს ცენტრების შესასვლელი და საგარდერო სივრცეები
 - ჯანდაცვის ობიექტები, ექიმის მისაღებები, საავადმყოფოების და მოხუცებულთა თავშესაფრების საზოგადოებრივი სივრცეები
 - ეკლესიები და რელიგიური ორგანიზაციები
 - სოციალური დაწესებულებები, საკონსულტაციო ბიუროები და სალონისძიებო სივრცეები
 - საზოგადოებისთვის განკუთვნილი სამმართველოები, როგორც არის მაგ. სოციალური სამსახურები, სასამართლოები, მათ შორის პარლამენტის და თვითმმართველობის სხდომებისთვის განკუთვნილი დახურული სივრცეები, სადაც ტარდება სხდომები.
 - ბაზრობები, მათ შორის საშობაო
- **ნიღბის ტარება ღია სივრცეში:** ღია სივრცეში, ქუჩებში, ტროტუარებზე, პარკებსა და საბავშვო მოედნებზე წესისამებრ სავალდებულოა ნიღბის ტარება: ხალხმრავალ ფეხით მოსიარულეთა ზონებში ქალაქის თუ სოფლის ცენტრებში.
 - ხალხმრავალ ადგილებში და სოფლისა და ქალაქის ცენტრებში.
 - ყველგან, სადაც იმდენად ბევრი ადამიანი გადაადგილდება, რომ 1,5 მეტრიანი დისტანციის დაცვა შეუძლებელია. იგივე ვრცელდება მეგობრებთან და ნაცნობებთან შეხვედრისას თუ დისტანციის დაცვა შეუძლებელია.
- **ნიღბის ტარება დახურულ სივრცეში სამსახურში:** სამსახურში დახურულ სივრცეში ყველგან სავალდებულოა ნიღბის ტარება. გამონაკლისია, თუ ოთახში განცალკევებით მუშაობთ ან სხვებთან 1,5 მეტრიანი დისტანციის დაცვა არის შესაძლებელი იმ შემთხვევების მსგავსად, როცა არ გაქვთ ნიღბის ტარების ვალდებულება, რაც უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით არის დაშვებული.

- ნიღბის ტარების ვალდებულება საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო II საფეხურის სკოლებში: საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო II საფეხურის სკოლებში, როგორც მაგალითად გიმნაზიაში, პროფესიულ სკოლებში და ტექნიკუმებში, სავალდებულოა ნიღბის ტარება. მოზარდები, მასწავლებლები და სხვა პერსონალი ვალდებული არიან ატარონ ნიღბები. ნიღბის ტარება სავალდებულოა, როგორც გაკვეთილზე, ისე სკოლის შიდა და გარე ტერიტორიაზე.

ვრცელდება გამონაკლისები მცირეწლოვან ბავშვებსა და სხვა პირებზე?

12 წლამდე ასაკის ბავშვებს არ აქვთ ნიღბის ტარების ვალდებულება. ასევე ის პირები, ვისაც არ შეუძლიათ ნიღბის ტარება გარკვეული მიზეზების გამო, განსაკუთრებით კი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, გამონაკლისში არიან.

თუ ნიღბი არ მაქვს: შემოძლია თუ არა შარფის ან ყელსახვევის მოხვევა სახესა და ცხვირზე?

არა, შარფის ან ყელსახვევის გამოყენებით ნიღბის ტარების ვალდებულება არ იქნება შესრულებული. შარფი ვერ იცავს საკმარისად დაინფიცირებისგან სხვა პირებს. უნდა ატაროთ ჰიგიენური ან წარმოებაში დამზადებული ნაჭრის ნიღბი.

შვეიცარიაში მოგზაურობა/შესვლა

2020 წლის 6 ივლისიდან შვეიცარიაში განსაზღვრული ტერიტორიებიდან შესვლისას სავალდებულოა 10 დღიანი კარანტინის გავლა.


ეს ღონისძიება ეფუძნება ახალი კორონავირუსის (Covid-19) დასამარცხებლად მიმართული ღონისძიებების შესახებ საერთაშორისო სამეზავრო მიმოსვლასთან დაკავშირებულ დადგენილებას და ვრცელდება ახალი კორონავირუსით ინფიცირების მაღალი რისკის ქვეშ მყოფი ქვეყნებიდან ან ტერიტორიებიდან შემომსვლელებზე.

ქვეყანაში შემოსვლა აცნობეთ [კანტონის შესაბამის უწყებას](#) ორი დღის განმავლობაში და დაიცავით ამ უწყების რეკომენდაციები.

კარანტინის თავიდან აცილება ან შეტყობინების ვალდებულების დაუცველობა ეპიდემიის შესახებ კანონის თანახმად ითვლება სამართალდარღვევად და ითვალისწინებს ჯარიმას 10'000 შვეიცარიული ფრანკის (CHF) ოდენობით.



კორონავირუსით ინფიცირების მაღალი რისკის ქვეშ მყოფი ქვეყნების ან ტერიტორიების ჩამონათვალი, კანტონების საკონტაქტო მონაცემები, ასევე კარანტინის გავლის ვალდებულებასთან დაკავშირებული გამონაკლისი შემთხვევები იხილეთ ვებგვერდზე: www.bag.admin.ch/entry



კორონავირუსის ტესტები და კონტაქტების დადგენა (Contact Tracing) შეაჩერებს ინფექციის გავრცელების ჯაჭვს.

რატომ არის ეს ორი ღონისძიება ასე მნიშვნელოვანი.

იმისთვის, რომ ცხოვრების "ჩვეული" რეჟიმი შეძლებისდაგვარად აღდგეს, ინფექციის სიმპტომების მქონე ყველა ადამიანი დაუყოვნებლივ უნდა ჩაიტაროს ახალი კორონავირუსის ტესტი სიმპტომების მსუბუქი ფორმით გამოვლენის შემთხვევაშიც. ტესტის ჩატარების გარდა, ასევე, მნიშვნელოვანია ახლო კონტაქტების დადგენა და დასტურებულ შემთხვევასთან კონტაქტირებული პირის დადგენის მიზნით, მაგალითად რესტორანში. რადგან ინფიცირებული ადამიანი შესაძლებელია გადამდები იყოს, თუმცა თავს ჯერ კიდევ ჯანმრთელად გრძნობდეს. ასე რომ, ტესტების ჩატარებით და კონტაქტების დადგენით (Contact Tracing) შესაძლებელია ინფექციის გავრცელების ჯაჭვის შეჩერება.

თუ კორონავირუსის ტესტი დადებითია, მაშინ იწყება კონტაქტების დადგენა (Contact Tracing).

- კანტონის მმართველი ორგანოები ინფიცირებულ პირთან ერთად ადგენენ მის ახლო კონტაქტებს.
- მმართველი ორგანოები აწვდიან ინფორმაციას დადასტურებულ შემთხვევასთან კონტაქტირებულ პირებს შესაძლო ინფიცირების შესახებ და გასცემენ ქცევის რეკომენდაციებს.
- მაშინაც კი, თუ ამ პირებს სიმპტომები არ აქვთ, ისინი საკარანტინო რეჟიმზე უნდა გადავიდნენ. კარანტინის ხანგრძლივობა განსაზღვრულია 10 დღით ინფიცირებულ პირთან ბოლო კონტაქტიდან. გაეცანით „კარანტინი“-ს და განუხრელად დაიცავით წესები.
- თუ ამ პერიოდში ინფექცია არ გამოვლინდა, მმართველი ორგანოები აუქმებენ საკარანტინო რეჟიმს.



სვისკოვიდ (SwissCovid) აპლიკაცია

მობილურ ტელეფონებზე სვისკოვიდ (SwissCovid) აპლიკაციის მხარდაჭერით გვსურს ახალი კორონავირუსის უკონტროლო გავრცელების შეჩერება. რაც მეტი მომხმარებელი ეყოლება სვისკოვიდ (SwissCovid) აპლიკაციას, მით უფრო დიდი იქნება მათი წვლილი ვირუსთან ბრძოლაში. მომხმარებელი, რომელიც მინიმუმ ერთ ახალი კორონავირუსის მოგვიანებით დადასტურებულ შემთხვევასთან იმყოფებოდა კონტაქტში, აპლიკაციით მიიღებს ინფორმაციას შესაძლო დაინფიცირების შესახებ და ქცევის რეკომენდაციებს. კონფიდენციალურობა დაცული იქნება. აპლიკაციის გამოყენება ნებაყოფლობითი და უფასოა. მისი გადმოწერა შესაძლებელია, როგორც ეფლის (Apple) ეფლ-სტორით (App-Store) ასევე, გუგლის ფლეი-სტორით (Google Play Store).

სვისკოვიდ (SwissCovid) აპლიკაცია ხელს უწყობს სწრაფი გავრცელების ჯაჭვის შეჩერებას.

მობილური ტელეფონების (Android/iPhone) სვისკოვიდ (SwissCovid) აპლიკაცია ხელს უწყობს ახალი კორონავირუსის შეჩერებას. ის «კონტაქტების დადგენის» (Contact-Tracing) კლასიკური მეთოდის დანამატი, რაც გულისხმობს კანტონებს შორის გავრცელების ახალი წყაროს კონტაქტის გამოვლენის - და ამგვარად, ის დაავადების გავრცელების ჯაჭვის გაწყვეტაში შეიტანს წვლილს.

სვისკოვიდ (SwissCovid) აპლიკაცია ხელმისაწვდომია ეფლის (Apple) ეფლ-სტორიდან (App-Store) და გუგლის პლეი სტორიდან (Google Play Store) (შემდეგ ენებზე: გერმანული, ფრანგული, იტალიური, რეტორმანული, ალბანური, ბოსნიური, ინგლისური, ხორვატული, პორტუგალიური, სერბული, ესპანური. დაემატება თურქული და ტიგრინული).

- გუგლ ფლეი სტორი (Google Play Store) ანდროიდისთვის (Android)
- ეფლ სტორი (App-Store) აიოს-თვის (iOS)

სვისკოვიდ (SwissCovid) აპლიკაციის გამოყენება ნებაყოფლობითი და უფასოა. რაც მეტი ადამიანი დააინსტალირებს და გამოიყენებს აპლიკაციას, მით უფრო ქმედითი იქნება ის ახალ კორონავირუსთან ბრძოლაში.

როგორ მუშაობს სვისკოვიდ (SwissCovid) აპლიკაცია?

დააინსტალირეთ თქვენს მობილურ ეფლ (Apple) ან ანდროიდ (Android) ტელეფონებზე სვისკოვიდ (SwissCovid) აპლიკაცია. ამის შემდეგ მობილური ტელეფონი მუდმივად ჩართული ბლუთუზის (Bluetooth) ფუნქციის გარდა სხვა არაფერს საჭიროებს. მობილური ტელეფონი ბლუთუზით აგზავნის დაშიფრულ საიდენტიფიკაციო კოდს (ID), ე.წ. საკონტროლო ჯამს (Prüfsumme). საკონტროლო ჯამი არის მრავალ შემთხვევით ციფრთა კომბინაცია. ორი კვირის შემდეგ ყველა საკონტროლო კოდი წაიშლება მოწყობილობიდან.

აპლიკაცია განსაზღვრავს მობილურ ტელეფონებთან კონტაქტის ხანგრძლივობას და დისტანციას. ინფორმაცია ინახება **ახლო კონტაქტის** დამყარების შემთხვევაში (1,5 მეტრზე ნაკლები დისტანცია და დღის განმავლობაში ჯამურად 15 წუთზე მეტი). სწორედ ამ დროს არის შესაძლებელი ვირუსის გადაცემა.

შეტყობინება

სვისკოვიდ (SwissCovid) აპლიკაციის მომხმარებელი კორონავირუსის დადასტურების შემთხვევაში კანტონის სამმართველოდან მიიღებს კოდს (კოვიდკოდი-Covidcode). მხოლოდ ამ კოდით შეძლებს მომხმარებელი თავისი აპლიკაციისთვის შეტყობინების ფუნქციის გააქტიურებას. ამგვარად ხდება აპლიკაციის სხვა მომხმარებლების გაფრთხილება, რომლებთანაც პირი ახლო კონტაქტში იმყოფებოდა ვირუსის გადადების აქტიურ ფაზაში (სიმპტომების გამოვლენამდე 2 დღით ადრე). კოდის აქტივაციის შემდეგ ავტომატურად მიიღებენ ანონიმურ შეტყობინებას.

პირებს, რომლებმაც შეტყობინება მიიღეს, შეუძლიათ დარეკონ აპლიკაციაში მითითებულ საინფორმაციო ცხელ ხაზზე და მიიღონ შემდგომი რეკომენდაციები. ამავდროულად, კონფიდენციალურობა მუდმივად დაცულია. თუ ინფორმირებულ პირს იმ დროისთვის გამოუვლინდა სიმპტომები, სახლში უნდა დარჩეს სხვა პირებთან კონტაქტის თავიდან ასაცილებლად, უნდა შეამოწმოს კორონავირუსის სიმპტომები ან განახორციელოს ზარი პირად ექიმთან.

ამ სოლიდარული ქცევით შეუძლია ყოველ ჩვენგანს, ინფექციის გავრცელების ჯაჭვის გაწყვეტა.

ანონიმურობის დაცვა

მონაცემები, რომელსაც სვისკოვიდ (SwissCovid) აპლიკაცია აგროვებს, ინახება მხოლოდ ადგილობრივად მომხმარებლის მობილურ ტელეფონზე. მონაცემები მომხმარებლების და ადგილმდებარეობის შესახებ არ იგზავნება ცენტრალურ ბაზაში ან სერვერზე. აქედან გამომდინარე, ვერავინ შეძლებს იმის განსაზღვრას, თუ ვისთან და სად ჰქონდა ადგილი კონტაქტს. როცა კორონავირუსის კრიზისი გადაილახება, ან თუ აპლიკაცია სასურველ შედეგს არ მოიტანს, სისტემა გაითიშება.

სვისკოვიდ (SwissCovid) აპლიკაციით მივიღე შეტყობინება შესაძლო დაინფიცირების შესახებ. მაქვს თუ არა ტესტის გაკეთების უფლება?

დიახ, ვირუსის დადასტურებულ შემთხვევასთან კონტაქტის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე შეგიძლიათ ტესტის უფასოდ გაკეთება.

ტესტს შეუძლია უსიმპტომო ინფიცირებულ პირთა გამოვლენა. ის უნდა ჩატარდეს სავარაუდო დაინფიცირებიდან არაუადრეს მე-5 დღისა.

ტესტის დადასტურების შემთხვევაში თქვენ დაგიკავშირდებიან კანტონის უფლებამოსილი სამსახურიდან, რათა მიიღოთ რეკომენდაციები. ყოველივე მიმართულია ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად.

მივიღე თუ არა ისევ ხელფასს, თუ ვირუსის შესაძლო გადადების შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ სახლში დარჩენას გადაწყვეტთ?

თუ დადასტურებულ შემთხვევასთან კონტაქტის შესახებ მიიღეთ შეტყობინება, დარეკეთ სვისკოვიდის (SwissCovid) საინფორმაციო ცხელ ხაზზე (ტელეფონის ნომერი იხილეთ აპლიკაციით მიღებულ შეტყობინებაში). ამ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციას ცხელ ხაზზე მიიღებთ.

კანონით დამსაქმებელს არ აქვს ხელფასის გადახდის ვალდებულება, თუ თქვენ დადასტურებულ შემთხვევასთან კონტაქტის შესახებ შეტყობინების საფუძველზე რჩებით სახლში.

მხოლოდ კანტონის შესაბამისი უწყების მიერ განსაზღვრული კარანტინის რეჟიმი არის ხელფასის შემდგომი გადახდის საფუძველი.

რა არის ახალი კორონავირუსი? რა არის სარს-კოვ-2 და რა არის კოვიდ-19?

ახალი კორონავირუსი 2019 წლის ბოლოს ჩინეთის ცენტრალურ ქალაქ ვუჰანში ფილტვების ანთების უჩვეულო სიხშირის გამო გამოაშკარავდა. ვირუსს ეწოდა SARS-CoV-2 და განეკუთვნება იმავე პათოგენთა ოჯახს, როგორც «ახლო აღმოსავლეთის რესპირატორული სინდრომი» MERS და «მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომი» SARS.

ახალი კორონავირუსით გამოწვეულ დაავადებას ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2020 წლის 11. თებერვალს ოფიციალური სახელი უწოდა: კოვიდ-19/Covid-19, ანუ «coronavirus disease 2019» ან გერმანულად «Coronavirus-Krankheit 2019».

ამჟამად არსებული ინფორმაციით დგინდება, რომ ადამიანებს ვირუსი ცხოველებისგან გადაედო და ახლა ის ადამიანიდან ადამიანზე ვრცელდება. დაავადების წარმოშობის საწყისი წყარო, სავარაუდოდ, ქალაქ ვუჰანში არსებული თევზებისა და ცოველების ბაზარია, რომელიც ჩინურმა უწყებებმა ამასობაში დახურეს.

დამატებითი ინფორმაცია: www.bag-coronavirus.ch

www.bag.admin.ch/neues-coronavirus

(გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ინგლისურ ენებზე)



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Confederation

Bundesamt für Gesundheit BAG
Office fédéral de la santé publique OFSP
Ufficio federale della sanità pubblica UFSP
Federal Office of Public Health FOPH